ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲘ
ᲞᲘᲠᲘᲡᲙᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲡ

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლამდე“.
აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.

№ 35 ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1959 Წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, NOVEMBER 1959

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1959Წ..

ᲑᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ „ᲦᲠᲛᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ“.

გამოირკვა, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რუსეთში მოგზაურობა შორეული გაზაფხულისათვის გადადო. ასევე გადადებულია „ოთხი დიდის“ მეთურების შეხვედრის დრო.

ამ ხნის განმავლობაში ორივე მხარე ცდილობს გაამაგროს და გაამხნევოს თავისი სავა-**რაუდო მოკავშირე და მეგობარი ხრუშჩოვისამ** ერიკაში მოგზაურობამ აღმოსავლეთ-დასავლეთ ბლოკთა ცხოვრებაში, ეტყობა ვერ შეიტანა მოსალოდნელი სიმშვიდე და დაზავების იმედები, რადგან ორივე მხარე განაგრძობს საკუთარი ცხოვრებით ცხოვრებას და დანაღმული ნიადაგის გაფაროთებას.

კომუნისტური ბლოკის ლიდერმა არ დააყოვნა და „სახალხო ჩინეთის“ არსებობის ათი წლის თავის მოძიზეზებით პეკინს ესტუმრა. დასავლეთის ლიდერი კი, თეთრი სახლის გაენცხადების თანახმად, ინდოეთის „დათვალიერებას“ აპირებს.

ნორმალურია, რომ ამ დაძაბულობაში ორივე ბლოკმა თავის ყურადღება ამ ორ უზარმაზარ ქვეყანას მიაპყრა. ერთ დროს კომუნისტური ბლოკის სიმპატიზანი და ჩუ-ენ ლაი-სთან დამოყვრებული ნეიუ ამ უკანასკნელს აეშალა და თუმცა გაუბედავად, მაგრამ მაინც თავისი ქვეყნის საზღვრების დაცვას ლამობს.

ისედაც აღრეულს და დაძაბულს ატმოსფეროში ამ ორი აზიური ქვეყნის იარაღის ჩხარუნი მდგომარეობას უფრო ართულებს და კაცობრიობის დაშინებულ გონებას ამძიმებს.

დასავლეთ ბერლინზე კომუნისტების ფსიქოლოგიური თავდასხმა ჯერ კიდევ მოგეონებული არ არის და რა მოულოდნელობის წინაშე დააყენებს მოსკოვი კაცობრიობას არავინ იცის. აღერშენ დაუსრულებელი სისხლის ღვრა, რომლის გათვალისწინებაც კი წარმოდგენელია თუ რომელ მხარეზე გაფართოვდება და ან სად დაედება ზღვარი, თუ დე გოლის **უკანასკნელმა გონიერმა და გაბედულმა წინა-**დადებამ თავის სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. არაბულ ქვეყნებში დაუსრულებელი იარაღის ჩხარენი და ნასერის მუდმივი მუქარა; ტიბეტის სისხლის ღვრას თან მოჰყვა არა მარტო ფსიქოლოგიური, არამედ მილიტარული თავდასხმა ლაოსზე და უკანასკნელად ხომ თავს წამოგვდგა აზიური ორი უზარმაზარი ქვეყნის, იხდოეთის და ჩინეთის კონფლიქტი.

როგორც ცხობილია ჩინეთ-ინდოურ „თანხაარსებობის“ შეთანხმება დიდი ხნიდან არსებობს. ნერუ სწორედ ამ შეთანხმების ნიადაგზე რჩება, როდესაც იცხადებს, რომ ნეპალი და ბუტანი მისი დაცვის ზონაა და ამ ქვეყნებში ჩინურ ოკუპაციას არ დაუშვებს. ამავე დროს ირკვევა, რომ „თანაარსებობის შეთანხმების“ ძალით ინდოეთს ტიბეტი უფრო აღრე გადაუცია ჩინეთისათვის, ვიდრე ის იქ თავის ჯარს შეიყვანდა. მოუხდავათ ამისა, აგრესიულ და დამპყრობელური ჟინით გაზღვლებულ ჩინურ კომუნიზმს გადაუწყვეტია თავის სამხრეთის საზღვრების შორს გადატანა და იქ —სტატუტ კვოს“ დარღვევა. მშვიდობიანობის მოყვარე ინდოეთის მთავრობა ცდილობს დაიცვას თავის კუთვნილი მიწა და მისი გასადევარი არავის დაუთმოს და სარდლობს უბრძანა „საშიო“ ზონა გაამაგროს და იქ ჯარი გაამაგროს.

თუ იარაღის ჩხარენი ნამდვილ ომამდე მივიდა, ძნელია მისი შედეგის გათვალისწინება, ვინაიდგან ამ უბანში ძალთა წონასწორობის დარღვევა უსათუოდ გამოიწვევს საერთაშორისო ძალთა წონასწორობის დარღვევას და გაშარჯვების სასწორი იქიდან გადაიხრება, რომელი კოალიციის ცხენიც იქ მოიგებს. ამიტომ, საფიქრებელია, რომ როგორც კომუნისტური, ისე თავისუფალი დასავლეთის კოალიცია თავის ძალას და შესაძლებლობას იქ მიიტანს და შეეცდება სასწორი თავის მხარეზე გადაბაროს შესაძლებელია, რომ ამას საერთაშორისო ომი არ მოყვეს, მაგრამ მაინც ის გადაიქცევა მსოფლიო ძალთა დაჯახების მოედნად და ორივე კოალიციის იარაღის უპირატესობის გამოსაძიებელ საცდელ ადგილად.

შეუძლებელია ამ გარემოების სირთულე მხე დველობიდან გამორჩეს მოსკოვის სტრატეგებს და ამ აქციის განვითარებაც იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ მოსკოვი მზად არის მსოფლიოს ჩვენოს თავისი ფიზიკური ძალა და არა მხოლოდ პროპაგანდა. ამ შემთხვევაში ის ჩინეთს ბოლამდე მიუშვებს. მაგრამ მოვლენების განვითარება გვაფიქრებინებს, რომ ჩინეთის ამ აფორიაქებასაც უფრო პროპაგანდისტული ხასიათი აქვს, ვიდრე მილიტარული და მათი აგრესია სწორედ იმ წერტილზე შეჩერდება, სადაც ხრუშჩოვს სჯერა, რომ დასავლეთი მას აღარ გადაეცილებს. ასეთია საზოგადოთ კომუნისტური სამყაროს და კერძოდ რუსული კომუნისტების ბუნება; სადაც ტრაბახი არა სჭრის, იქ „ღიმილის პოლიტიკას“ იშველიებენ და თანაარსებობის მაღალ მოსაზრებებით უკან იხევენ.

თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ წითელი ჩინეთი მხოლოდ რუსულ ღილზე ხტუნაობს და მას თავისი საკუთარი ინტერესი არ აქვს. საფიქრებელია, რომ მას ამ აზიურ ეკსცენტრიულ მოუსვენრობით სურს მოაგონოს მსოფლიოს, მტერსაც და მოყვარესაც, რომ ის უკვე საგრძნობი ძალაა და საერთაშორისო ჭიღილში იქიდ გადაიხრება ეკილიბრი, სათთაც ის გადაიხრება და ამიტომ ის თხოულობს აქედან გამომდინარე სპატიო ადგილს. თუმცა კი გარემოება ხელს არ უშლის, რომ ეს საპრაპაგანდოთ მოგონილი სამხედრო მანევრი რომელმე ტერიტორიის დაპყრობით დასრულდეს. ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება ინდოეთის სიმტკიცეზე, მის თავდაცვის უნარზე და მის ეროვნულ შეგნებაზე.

ნერუს განცხადებები, რომ ნეპალის, ბუტანის და საზოგადოთ ინდოეთის მოსაზღვრე ტერიტორიების დაპყრობას არ შეიწყნარებს, ინდოეთის თავდაცვის ნებისყოფის მაჩვენებელია მაგრამ ინდოეთის ისტორიაში მრავალად მოიძებნება მაგალითები, რომ ყოველგვარი სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე დაუთმიად საკუთარი ტერიტორია:ამას ზედ ერთვის ნერუს უპრინციპო ულტრანეიტრალობის პოზიცია, რის წინაშეც გამარჯვების შანსებით გამოსვევის კომუნისტური ჩინეთის აგრესიული და მოუსვენარი თავრობა.

მითვისების და განდიდების სურვილით დამთვრალი მაო და ჩუ მოახერხებენ გაითვალისწინონ ამ ავანტურის სირთულე? ან მოახერხებს მოსკოვი მათ შუა გზაზე შეჩერებას თუ ნადავლის თვალწარმტაცობა დასძღვევს.?

ძნელია თქმა თუ სამხედრო თვალსაზრისიდან ამ ომში რომელი მათგანი უფრო ძლიერია. თანამედროვეობაში ცოცხალი მასა ვერა სწყვეტავს ომის ბედს. ამ შემთხვევაშიც ვერ გადაწყვეტს ომის ბედს. ჩინო-ინდოური ჯარის კაცთა დაურეულელი მარაგი, არამედ ომის ბედს გადაწყვეტავს ტექნიკა, რომელიც, როგორც ჩინეთმა, ისე ინდოეთმა უცხოეთიდან უნდა მიიღოს და სწორედ აქ იხლართება საერთაშორისო ძალთა ინტერესები და კვლავ ისმება საკითხი: არის მოსკოვი მზად?

ჩვენის ღრმა რწმენით კორეადან მოყოლებული და ბერლინ-ლაოსით დასრულებული ყველა მაგალითები ამტკიცებენ, რომ რუსეთი გაურბის დასავლეთთან სამხედრო კონფლიკტს. არა მშვიდობიანობის სიყვარულით, არამედ დასავლეთის იარაღის ძლიერების შემცნების გამო და ამ ჟამად ორ სკამზე მოთამაშე ხრუშჩოვი შეიცდება ჩინეთ-ინდოეთის კონფლიქტს საპრაპაგანდო, ფსიქოლოგიური თავდასხმის ხასიათი მისცეს, რადგან თავისუფალი დასავლეთის დუმილშიც ნათლად სჩანს მისი მტკიცე გარდაწყვეტილება. რომ ინდოეთის გადათელვას აღარ დაუშვებს.

ამ ინციდენტიდ დასავლეთს და კერძოდ ინოლოეს შეუძლიან მხოლოდ სასარგებლო შედეგები მიიღონ, თუ ნერუ თავის უპრინციპო და გაუბედავი პოზიციიდან გაბედულსა და საკაცობრიო ინტერესების გაგებამდე ამაღლებულ პოზიციაზე გადავა.

ხრუშჩოვის დიდი ხნის ოცნება აღსრულდა. ამერიკის მატერიკთან ერთად, მან ამერიკის კაპიტალიზმიც აღმოაჩინა. რაზედაც მას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, რადგან მას მხოლოდ მარქსის და ლენინის ნაწერებით იცნობდა. მის მიერ წარმოდგენილ და ნამდვილ, თანამედროვე ამერიკას შორის განსხვავებას, ალბად ადვილად შეამჩნევს და ეს იქნება მისთვის, მისი რწმენის შემოყვეი თუ არა, ნაწილობრივ მაინც დამაჯერებელი არგუმენტი, რომ ის (ე. ი. კომუნიზმი) ვერ დაიწევა და ვერ დაასწრებს კაპიტალისტური ცივილიზაციის მიღწევებს. ვერც სოციალურ-ეკონომიურ დარგში და ვერც ტექნიკურ განვითარებაში, რადგან ეს ორი სისტემა დიამეტრალურად საწინააღმდეგო იდეოლოგიურ საწყისებზეა აგებული და განსხვავებულ ფილოსოფიურ შეხედულებაზე დაყრდნობილი. კაპიტალიზმს საფუძველად უდევს კერძო მეურნეობა., თავისუფლებასა და თავისუფალ ინიციატივაზე აღმოცენებული. კომუნიზმის საფუძველია კოლექტიური მეურნეობა, მიუოოკატიული ჩარჩოებით შეზღუდვილი და იძულებითი მეთოდით შებორკილი. ერთგან ყოველგვარი პრიდუქციის სიუხვე. სიმდიდრის სიჭარბე, მეორეში—პროდუქციის ნაკლებობა, სიღარიბე და საზოგადოებრივი დოვლათის გაფლანგვა განიავება.

როცა ხრუშჩოვი მთელ მსოფლიოს იწვევს შეჯიბრებად-კომპეტენციაში და მოუწოდებს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ფაკტებით დამტკიცონ სოციალიზმის უვარგისობა, მათი სიტემის უპირატესობა და ქმედითი ძალა, რომ მათ უნარი შესწევს საზოგადოების უმრავლესობას შეუქმნან მაღალი დონის ეკონომიური კეთილდღეობა, რომ კაპიტალიზმის სისტემით ყველა უფრო ბედნიერია, ვიდრე სოციალისტური წყობილებით. ეხლა ხრუშჩოვმა საკუთარი თვალთ ნახა ერთი უდიდესი კაპიტალისტური ქვეყანა—ამერიკა, იქონიოს გამბედოობა, თუ საჯაროთ ამას ვერ იტყვის, თავის სინდისის წინაშე მაინც აღიაროს; სად უფრო მეტი კეთილდღეობა და ბედნირება არის, საბჭოთა კავშირში თუ მისგან ათვალისწინებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში?

არა სიტყვიერად, არა ციფრების გაყალბებით, არამედ უტყუარი ფაკტებით, მან თვითონ უნდა დაამტკიცოს სოციალისტური სისტემის უპირატესობა. მართალია საბჭოთა კავშირმა დიდი პროგრესი გააკეთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, მაგრამ ხალხის ნეთიერი კეთილდღეობის დონე ჯერ კიდევ მეტად დაბალია და ის სრულებით ვერ შეედრება ამ სფეროში კაპიტალისტურ ქვეყნებს. უსაჭიროეს მოთხოვნილების საგნების ნაკლებობა ჯერ კიდევ საგრძნობია, მაშინ როდესაც დიდი თანხები იხარჯება სამხედრო შეიარაღებისა, პლანებების დაპყრობის, პროპაგანდის და უცხოეთის კომუნისტური პარტიების შენახვის და საჯაშეში საქმეებზე.

ხრუშჩოვმა კარგად იცის (ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ მაინც, თუ ამდენ ხანს არ იცოდა). რომ უცხოეთში და თვით საბჭოთა კავშირში სოციალიზმის საქმე, მაინცადამაინც, კარგად ვერ მიდის, მისი შვიდწლიანი გეგმის შესრულება ბევრ დაპრკოლებას აწყდება, რაც საეჭვოდ ხდის სოციალიზმიდან კომუნიზმში დადასვლის ვადას, აღთქმულ ამ ქვეყნიურ სამოთხის დაწყებას და საყოველთაო კეთილდღეობის გამეფებას. ხოლო ხრუშჩოვი მაინც გუულს არ იტეხს (ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი ღრმა რწმენაა არაფერზე დამყარებული) და ამერიკელ კაპიტალისტებს უქადაგებს, რომ სამოლოო ანგარიშით კომუნიზმი მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს, რომ ამ ორი სისტემის—კაპიტალიზმის და სოციალიზმის მეტოქეობაში, სოციალიზმი გამოვა გამარჯვებული თითქოს მისთვის ამ გამარჯვებისათვის სრულებითაც საჭირო არ არის რაიმე ძალადობა, კაპიტალისტურ სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩარევა, უნებურად საბჭოთა წყობილების თავზე მოხვევა. ის დაჯერებულია, რომ ეს თავისთავად მოხდება კაპიტალიზმის დაუძლურებით, მისი შინაგანი წინააღმდეგობის კრიზისით და ადგილობრივ კომუნისტების წაბიძგებით, თუ ეს საჭირო დარჩა.

ეს მტკიცება არ არის დამყარებული არავითარ ფაკტებზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარსული დამარღვეველი მუშაობა მსოფლიოს ყოველ კუთხეში ყირაზე აყენებს ხრუშჩოვის ამ დებულებას, როცა უტყუარი საბუთებით შეიძლება იმის დამტკიცება, რომ კრემლი და მისი კომუნისტური პარტია ერეოდა და ეხლაც ერევა სხვის შინაურ საქმეებში.

ხრუშჩოვი მაინც ყოველთვის მთლად ზერელეთ არ ლაპარაკობს. ის ხან გამოშვებით მაინც იყენებს მარქსის თუ ლენინის ამა თუ იმ თეორიულ დებულებას, რადგან თვით ძალიან მოისუსტებს თეორიულ საკითხებში. ამ შემთ ხვევაშიც, რომ დაამტკიცოს სოციალიზმის აუცილებლობა, ის ემყარება მარქსის ერთ მძიკვეულებულ ფორმულას. ის ამბობს: რწმენა კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის დამყარებულია საზოგადოებრივი განვითარების დადგენილ კანონებზე, ისე, როგორც თავის დროს კაპიტალიზმმა, მაშინ როგორც უფრო პროგრესიულმა სისტემამ, შესცვალა ფეოდალიზმი. ასევე კაპიტალიზმი აუცილებლად უნდა შეიცვალოს სოციალიზმით, რადგან დღეს ის არის ყველაზე უფრო პროგრესიული სოციალური სისტემა.

როგორც ცნობილია მარქსმა ამით დაადასტურა ისტორიულად მომხდარი ფაკტი. მაგრამ არ ჩამოთვლილა მისი წინასწარმეტყველობა, რომ კაპიტალიზმს ადგილი უნდა დაეფიმო სოციალიზმისათვის. მისი აზრით ეს უნდა მომხდარიყო სულ მოკლე ხანში, როცა კაპიტალიზმი შეეცდოდა მისი განვითარების უმაღლეს სტადიაში და ეს უნდა მომხდარიყო უაღრესად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. მოხდა პირუკუმა: სოციალიზმის გზას დაადგა ყველაზე ჩამორჩენილი და აგრარული ქვეყნები—რუსეთი და ჩინეთი.

ამ ხნის განმავლობაში კაპიტალიზმის ფორმა საკმარნობლად გამოიცვალა და აღარ ჰგავს მარქსის დროინდელ კაპიტალიზმს: დემოკრატიული კანონმდებლობით და საფუძვლი ანი რეფორმებით იგი დაუქვემდებარა საზო გადოებრივ ინტერესებს. ამასთანავე შრომის სამართლიან ორგანიზაციამ უზრუნველყო მუშათა კლასის ცხოვრების პირობები და გაუფმ ჯობესა მისი მატერიალური მდგომარეობა.

რუსეთის და ჩინეთის —სამართლიანი და პროგრესიული სოციალური სისტემა“, რომ უვარგისი და მიუღებელია, ამას ამტკიცებს თვით მათი ხალხის განაწამები და უზომო დუხჭირი ცხოვრება. არა გვგონია სადმე იყოს იმდენი უსამართლობა და თავისუფლების შეზღუდვა, როგორც ეს არის საბჭოთა კავშირში და ჩინეთში.

ეთქვად მართლა მოხდა სასწაული და გამარილდა ხრუშჩოვის ღრმა რწმენა და ყველგან გაიმარჯვა კომუნიზმმ, ვას ხანგრძლივობა არ უწერია, ის ისევე გადაზრდება კაპიტალიზმში, რომლისტენდენციები ისე თვალსაჩინოა საბჭოთა კავშირში. სადაც სახელმწიფოებრივმა კაპიტალიზმმა წარმოშვა ახლად გამდიდრებული პრივილეგიური კლასი, რომელიც ცხოვრობს დანარჩენ მშრომელთა ეკსპლოატაციით.

მარქსის შეცდომა ის იყო, რომ მას სჯერო და უკლასო საზოგადოების შექმნის შესაძლებლობა ეკონომიური თანასწორობის საფუძველზე. სწორედ საბჭოთა რეჟიმის ამდენი ხნის არსებობამ დაამტკიცა ამის უსაფუძვლობა. არც უკლასო საზოგადოება, არც ეკონომიური თანასწორობა, არც საერთო ნივთიერი კეთილდღეობა—ასეთია სინამდვილე და მას ვერ შესცვლის ხრუშჩოვის მიერ ხშირ-ხშირად ნათქვამი ანდაზები. ვერც მისი „ღრმა რწმენა“ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისა.

ს. ჭირაქაძე.

ხრუშჩოვის უტიფრობა.

(„დამახასიათებელია, რომ ამერიკაში ამ უამად ბევრი მოღვაწე იქ არსებულ ჭეშმარიტებას კაპიტალიზმს როდი უწოდებს. არამედ იგონებს ისეთ სახელწოდებებს, როგორიც არის „სახალხო კაპიტალიზმი“, „დემოკრატიული კაპიტალიზმი“, „ჰუმანური კაპიტალიზმი“. აი ხედავთ, სადამდე მივიდა საქმე. მათ თვითონ რც ხვენიანთ და საკუთარ სახელებს უწოდებენ ს ა ნ ნებს. მართლაც, განა არა ბუნებრივი არ არის კაპიტალიზმს ეწოდოს „სახალხო“, ან „ჰუმანური“? ვინ არ იცის, რომ კაპიტალიზმი ცოცხლობს მილიონთა შრომის ულმობელი ეკსპლოატაციით“).

ნ. ს. ხრუშჩოვი.

. გაზ. „კომუნისტი“-დან.

აი, ლაზღანდარა ბუნების „მოღვაწის“ უტიფარი განცხადება!

რატომ ერთხელ მაინც არ ამხელს ნიკიტა თუ რითა ცხოვრობს წითელი არისტოკრატია და მისი უცხოელი აგენტ-პროპაგანდისტები? ამ ეკონომიაში და მეტიჩრობის განსახიერებამ ახლო წარსულში მოიარა „კაპიტალისტური ამერიკა“. იქ კაპიტალისტების გულუხვ სუფრას იმდენად დაეხარა, რომ ერთმა ნიუ-იორკელმა გაზეთმა აღნიშნა: „დანა-ჩანგალს ისე ხმარობს, თითქოს ესეც ახალი გამოგონება იყოს“-ო. იქ მრავლად შეხვდა საზოგადოებრივ და კერძოდ მუშათა კავშირების წარმომადგენლობს და სწორედ მუშათა კავშირების ლიდერებმა მოსთხოვეს მას საბჭოელი მუშებისათვის ადამიანური და მოქალაქეობრივი უფლებების დაბრუნება. ხრუშჩოვის გულის წყრომის მიზეზი ის იყო, რომ სწორედ მუშებმა და მათმა კავშირებმა არ „იყიდეს“ მისი პროპაგანდა და ის მუშათა საკითხის მესაფლავეად და მუშების დამმონებლად აღიარეს. იქნება დაგვისახელოს ამ არყის მონამ, თუ რამდენი იძულებითი შრომის ბანაკი ნახა კაპიტალისტურ ქვეყანაში და თუ სურვილი აქვს ჩვენც ჩამოუთვლიდ, თუ რამდენია „მუშურ გლეხურ სამთხეში“? ან იქნება აგვიხსნას, თუ რატომ არის მოსკოვი თავისუფალი არჩევნების წინააღმდეგი საზოგადოთ და კერძოდ რათა ჰყავს დახუნდული მუშათა პროფესიონალური კავშირები? რატომ არ გაახსნის იძულებითი შრომის ბანაკების კარებს და ეს მშრომელთა და მაშრომალთა ფარისეველი მოჯირნახული არ მისცემს მუშებს თავისუფალი მოქმედების, აზოგრების და შეკავშირების უფლობას? იმიტომ, რომ ხალხს თავისუფლება მისი აღსასრულია?

აბა დაგვისახელოთ ერთი ქვეყანა, სადაც კომუნიზმი ხალხს ნება-სურვილით და თავისუფლადა არჩევნებით დამყარდა? ანტიკომუნისტურ და კაპიტალისტურს კი ყველგანა ვხედავთ. მაშ ვის მხარეზე ყოფილა ხალხის უმრავლესობა და რა უფლება აქვს ხრუშჩოვს ხალხს თავზე მოახვიოს თავისი ნება-სურვილი და ამას უწოდოს ,ხალხს კეთილ დღეობაზე ზრუნვა?

რა სიმწვავით უნდა განიცდიდნენ ხრუშჩოვის ამ უტიფარ განცხადებებს ჩვენი ტყვედ ქმნილი ხალხი, რომლის უბედურებაზეც აშენებს თავის ბედნიერებას წითელი არისტოკრატია.

ხრუშჩოვმა განაგვირგვინა თავის მასწაულები, რათა თვითონ დაედგა მისი გვირგვინი და ჩამჯდარიყო ამ სისხლის მსმელის სავარძელში, რომელსაც ჩექმებს ულოკავდა და რომლის ერთი თითის გაჭანგაზე, როგორც ტაკი მასხარა „გოპაკი“-ს ბუქნაობდა. ასეთი ლაჩრული და ქვემძრომელური ბუნების ლაზღანდარა გვეველინება ცხრაას მილიონიანი კომუნისტური ბლოკის ლიდერად!

ეს არის კომუნიზმის გათახსირების უმაღლესი გამოძღვენება.

ეტყობა თვით კრემლის მიერ დაპყრობილ ქვეყნებშიც გრძნობენ ამას და თავს ვეღარ იკავებენ, აღარ ეპუებიან რუსის ხიშტს და მოსკოვის ამ ახალ პრინცებს ხჩირად აგონებენ, რომ მათი ბატონობის დასასრულიც დადგება. ამას ხან-გამოშვებით თვით საბჭოთა პრესაც ვეღარ მალავს. „საბჭოთა ხელოვნებაში“ სეკტემბრის ნომერში ვეკითხულობთ: „მწერალთა ერთ ნაწილში შექმნილმა არაჯანსაღმა იდეურმა ატმოსფერომ ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ თანამედროვე პოლონურმა ლიტერატურამ რამდენადმე გადაუხვია საზოგადოებრივ ფუნქციებს. მწერალთა ნაწილს ახასიათებს უნდობლობა პარტიის კულტურული პოლიტიკისადმი და შემარიგებლობა სოციალიზმის რეაქციული კრიტიკის მიმართ, რომელიც ტარდება „სიტყვის თავისუფლების“, მხატვრის თავისუფლების“ დემაგოგიური ლოზუნგებით“.

„ვარშავის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების მხოლოდ სამი პროცენტია კომუნისტი. 97 პროცენტი კი არ არის მუშათა (კომუნისტური) პარტიის წევრი“-ო. „ეროვნებრივი ალბადებს „პოლიტიკა“-ს ოქტომბრის ნომერში და დასაკვნის: „ლღეევანდელი უპარტიო სტუდენტები იქნებიან ხელოვნდელი უპარტიოები, სოციალურ და ეროვნულ ბრძოლებში დაუინტერესებლები“-ო

არის თუ არა ეს საუკეთესო ილუსტრაცია, რომ ერთ მუჭა წითელ არისტოკრატიას, ცხილებამდე შეიარაღებული ჩეკისტების საშუალებით დამონებული ყოვთ მოსახლეობის აფეთქებული ბრძოლების ,ოსლოებ ,ოსლ ,ოსლ ,ოსლ

ლიტიკური და გეოგრაფიული თავისუფლება“

გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა დაეხმაროს და დაიცვას რუსეთის იმპერიის მიერ დამონებული ერები“

ერთი თავისუფალი ამოსუნთქვაც კი ვერ მოასწრეს, რომ 1919 წელს რუსეთმა კვლავ შეათარა ეროვნებათა სპპყრობილეში უკრაინა და ბელორუსია. ოცად წლებში დაიწყო კაკკასიაში დიდი სისხლის ღვრა. მსგავსად მეფის რუსეთისა, დღეკანდელი რუსეთიც ფლობს და განაგებს ასზე მეტ არა რუს ერების ცხოვრებას.

ამას ზედ დაერთო ახალი ტერიტორიები: ბალიკეთი, კარპატის უკრაინა, ჩრდილო ბუკოვინა, ჩრდილო აღმოსავლეთ პრუსია, ხოლო ძველი ორი მესამედი **თავის იმპერიისა ხომ კვლავ ჯაჭვებითა ყავს დახუნძული** რუსეთს.

რუსეთის სიიღუმლოებას შეადგენს საკუთარი ერის უჩვეულო გამრავლება, ხოლო მათ მიერ დაპყრობილი ერების ზრდის პროცესის შეჩერება. მაგ. როგორც აღენიშნედ 1897 წლის აღწერით რუსული მოსახლეობა არ აღემატებოდა 43.9 მილიონს, უკრაინელები კი 29.2 იყო. 1926 წლის აღრიცხვა გვაჩვენებს, რომ რუსულმა მოსახლეობამ მოიმატა 34.1 მილიონი, უკრაინელებმა კი 1.5-თი. მაშასადამე რუსებს ემატებათ ყოველწლიურად 1.176.000, უკრაინელებს კი 50.000. 1937 წლის აღრიცხვა რუსეთმა არ გამოაქვეყნა. 1939 წლის აღრიცხვიდან კი ირკვევა, რომ უკრაინამ დაკარგა 3.1 მილიონი. ეს უნდა იყოს შედეგი დიდი შიმშილობისა (1932–33წ). თანახმად შემოწმებული ცნობებისა ამ პერიოდში რუსეთის იმპერიის „ხორბლის ბეღელმა“, უკრაინამ განიცადა უდიდესი შიმშილობა და დაიღუპა სამი მილიონი ადამიანი.

1939წ. აღრიცხვა ნათელ ჰფენს ამ გარემოებას: 1987 წ. მთელ რუსეთის იმპერიაში მოსახლეობა იყო 129.2 მილ. აქედან 43.9.ე.ი. 34 პროც რუსი, ხოლო 85.3 მილ. ე. ი. 66 პროც. არა რუსი. 1959წ. აღრიცხვით საბჭოთა კავშირის მოსახლეობა უდრის 208 მილ. აქედან რუსებია 117.5 მილ. ე. ი. 56.3 პროც. არა რუსი ერები 91.3 მილ. ე. ი. 43.7 პროც. 1897 წლიდან 1959 წლამდე რუსული იმპერია გაიზარდა 79.6 მილ. აქედან რუსებს ერგოთ 73.6 მილ ე. ი. 168პროც. ხოლო რუსულ იმპერიაში ჩაჭედილ ყველა არა რუს ერებს 6–73როც. ე.ი. ნორმალური ზრდის ეარაფდით არა რუს ერებმა დაკარგეს 22.3 მილიონი.

მეორე ომის შემდეგ **რუსეთმა დაიპყრო** ახალი ტერიტორიები, რომელთა მოსახლეობის რიცხვი 22 მილიონს აღემატება.ეს უნდა მიმატებოდეს რუსული იმპერიის არა რუს მოსახლეობას: 1897 წლის აღრიცხვიდან რომ გამოვიდეთ არა რუსი მოსახლეობა უნდა გამხდარიყო 107.7 მილიონი. საბჭოთა უკანასკნელი სტატისტიკა კი იძლევა არა რუს მოსახლეობის 91.3 მილიონს, გამოდის, რომ 61 წლის განმავლობაში რუსი მოსახლეობა გაიზარდა 79 მილიონ ექვსასი ათასიდ, ხოლო უკრაინა, ბელორუსია, კავკასია და სხვა არა რუსი ერები ნადგურდებიან და ზრდის მაგიერ კლებულობენ.

რუსეთი არ არის ე. წ. „რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა“ და მისი დედა ქალაქი არ არის მოსკოვი. არამედ მოსკოვი ფლობს და განაგებს უზარმაზარ იმპერიას, რომლის საზღვარი ერთის მხრიდან ადგება იაპონის ზღვას, ჩრდილო კორეას და ჩინეთს, ხოლო დასავლეთით მიბჯენილია ევროპის შუა გულში.

რუსეთმა შექმნა მრავალი ავტონომიური რესპუბლიკა. ეს მის კოლონიალური მეურნეობის მიზანში შედის. რუსის ხალხის ეკონომიკის საფუძველი არა რუს ერთა სიმდიდრეა. **მაგ** ადგეიდან **გააქეთ ნავთი (მაიკოპი), საჩეჩნოდან ნავთი .(გროზნო), ბაქოდან ნავთი, საქართველოდან ნახშირი, მარგანეკი, ჩაი,** ფოროთხალი და სხ. ბაშკირეთი აწვდის რკინას და ნავთს, მარგანეკს და მდიდარ მინდვრებს. ალტეირნედან მიაქვთ ოქრო, ვერცხლი, მარგანეკი და ბრილიანტის ქვები.

მაგრამ რუსეთის ყველაზე დიდი ეკონომიური ინტერესი მაინც კავკასია–თურქესტანშია

1864 წელს დასრულდა კავკასიის დასაპყრობათ წარმოებული 50 წლიანი ომი. „ამიერკავკასიის მეურნეობა ჩამორჩა და ამიტომ ეს კოლონია გადაეცა რუსეთს“. სულ მოკლე დროში იქმნნა დაპყრობილი თურქესტანი; რუსეთთან ადმინისტრატიულად შეერთებული და იქ კოლონიალური მეურნეობა გაბატონეს.

საბჭოთა რუსეთი საქართველოს, სახოსმხეთის და აზერბეიჯანს თავისუფალ რესპუბლიკებს ეძახის. ამ თავისუფალ რესპუბლიკებში მუდმივად იმყოფება რუსული საოკუპაციო დივიზიები და ამ ქვეყნების ეკონომიურ მარაგს და დაუშრეტელ ბუნებრივ სიმდიდრეებს მოსკოვი უკონტროლოდ ფლობს და განაგებს.

1924 წელში თურქესტანი გაანაწილეს ხუთ რესპუბლიკად: 1. უზბეკისტანი, 2. ყაზახისტანი, 3. თურქმენისტანი, 4. ყირგიზისტანი, და 5. ტაგიჯისტანი. **თურქესტანს სახელმწიფო** მმართველებს 70 პროც. მეტი რუსებია და იქ მუდმივად იმყოფება რუსული საოკუპაციო ჯარი. უზბეკისტანი მოსკოვმა აიძულა რომ ბამბის მეურნეობაზე გადასულიყო, სადაც დღეს რუსეთი აწარმოებს უდიდეს ეკსპლოტაციას. **ამით იძულებული გახდა, რომ ხორბლეულის გამო მუდმივ კავშირში და მორჩილებაში იყოოლის.**

რუსეთს კარგად ესმის პურის ძალა და კარგად იცის პურის პოლიტიკა. 1932–33 **წლებში** მან აიძულა უკრაინა, რომ მოსკოვისათვის მიეცა. 1.760.000 **ტონა** ხორბალი, რის შედეგათაც სამი მილიონი უკრაინელი გაწყდა.

(დასასრული იქნება)

თარგ. ვ. სანგულია

პრესის მიმოხილვა.

„და ლავიკ ენდ ისტ ოროპეენ ჟურნალის“ 17-ტე ტომის პირველ წიგნში მოთავსებულია მეტად საინტერესო წერილი: „სოვიეტ ლანგვეჩ პოლისი—და ტეორი ენდ ფი პრაკტის“. ამ წერილის ავტორი იაკობ ორნშტეინი ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსეთის შემსწავლელი ცენტრის თანამშრომელია, რომელიც ზემო აღნიშნულ წერილის წინასიტყვაობაში ინიშნავს საზოგადოთ მრავალერიან სახელმწიფოში ლინგვისტური პოლიტიკის მნიშვნელობას და მერე უშუალოდ ეხება საბჭოთა კავშირს და ამტკიცებს, რომ იქ ლინგვისტური პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა ემსახურება რუსიფიკატორულ მიზნებს.

ავტორის აზრით, ორმოც წელზე მეტ ბოლშევიზმის ბატონობის ხანაში, მოსკოვის ცენტრალურმა პოლიტიკამ განვლო რამოდენიმე ეტაპი. გარემოებასთან შეფარდებით ის ხან მეტად მწვავე ფორმებში გამოისახა და ზოგ შემთხვევაში ლიბერალური თვისება გამოიჩინა. მაგ. მეორე მსოფლიო ომის კრიზისის დროს ეხედავთ, რომ მოსკოვმა დიდი „მოთმინება“ გამოიჩინა არა რუს ერთა ენების მიმართ. ომის შემდეგ დადგა რეაქციის ხანა და რუსიფიკაცია ძველებური (ომის წინა დროინდელი) ენერგიით ტარდება.

ყველა ერები ერთნაირად არ ღებულობენ მოსკოველი ბატონების დაწოლას. იმ ერთა შორის, რომლებიც რუსიფიკაციას ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ, აღსანიშნავია საქართველო და სასომხეთი, რომლებსაც აქვთ მაღალი ეროვნული თვითშეგნება და უაღრესად განვითარებული კულტურული ტრადიცია მათ შესაძლებლობას აძლევს რუსული ენის დაწოლას დიდი წინააღმდეგობა გაუწიონ.

შემდეგ ავტორი აყენებს საკითხს, თუ რა შეაძლებლობით სარგებლობს საბჭოთა რეჟიმი თავისი მიზნების განსახორციელებლათ და უპასუხებს:

უპირველეს ყოვლისა ისენი ცდილობენ შეიტანონ და გაბატონონ **რუსული სიტყვები** და აწყობენ ეს ხდება ტექნიკურ ლექსიკონებში რომლის ყველაზე ადვილი მსხვერპლია ის ერები, რომლის ენაც არ არის საკმარისად განვითარებული. რომ თანამიდროვე ინდუსტრიალურ ტექნიკურ გამოთქმებს შესატყვისი მოუ

ძებნოს. დიდი დაწოლას განიცდიან ის ერებიც რომლებიც საბჭოთა კავშირის ფარგლებში არა ცხოვრობენ, მაგრამ ეთნიური ნათესაობის გამო რუსული კულტურის გავლენას განიცდიან.

საბჭოთა ტერიტორიაზე თურქულ–სპარსული წარმოშობის მოსახლეობის ენაში თანდათანობით იდევნება მათი ორიგინალური სიტყვები და ბატონდება რუსული. ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ცალკე ეროვნულ ერთეულებში ალფაბეტის გაუქმება. დასაწყისში ისენი შესცვალეს ლათინურიდ, შემდეგ კი რუსულით. მხოლოდ სამმა ერმა შეინარჩუნა საკუთარი ალფაბეტი. ეს არის: საქართველო, სასომხეთი და ებრაელობა.

რუსიფიკაციის ყველაზე მჭიელ იარაღად მიჩნეულია რუსული ენა. მართალია პირველდაწყებითი სწავლა მშობლიურ ენაზეა, მაგრამ რუსული ენა უკვე იწყება მეორე-მესამე სამსწავლო წლიდან და სასომხეთში პირველიდანაც. საშუალო სასწავლებლებში რუსულ ენას იმდენივე, თუ მეტი არა, ყურადღება ექცევა, რამდენიც მშობლიურს.

თუ არ ჩავთვლით უკრაინას, ბელორუსიას, სასომხეთს, საქართველოს და ბალტიის ქვეყნებს, უმაღლესი განათლება განსაკუთრებით რუსულ ენაზეა.

საბჭოთა კავშირში რუსული ენა ერთგვარ **„საერთაშორისო“ ენად ხდება; ავიწროვებს** და ხმარებიდან სდევნის სხვა ერების ენებს. არსებული ცნობების თანახმად რუსული ენა უდიდესი პროგრესით სარგებლობს უკრაინაში. 75 პროც. იცის რუსული წერა-კითხვა. თი თქმის 60 პროც. კითხულობს რუსულ გაზეთს და 20 პროც. ოჯახში ლაპარაკობს რუსულად.

უკრაინის დამახასიათებელია, რომ მშობლ**იური ენა ძველებურად დარჩენილა სოფელში** სახმარებელ ენად, მაშინ როდესაც რუსულია გადაქცეული ქალაქის ინტელიგენციის სახმარებლად. საბჭოთა კავშირიდან გამოქცეულების ცნობის თანახმად, თუ ქალაქში მცხოვრები უკრაინელი ილაპარაკებს მშობლიურ ენაზე ეს მაჩვენებელი იქნება მისი ნაციონალისტურად განწყობილების და ის ხედება „შაგ სიაში“, როგორც პოლიტიკურად არა კეთილსაიმედო. მაგრამ იგივე ქალაქელი უკრაინელი ბაზარში, სოფლიდან ჩამოსული უკრაინელები საგან სანოვაგის ყიდვის დროს ლაპარაკობს უკრაინულად, როგორც ეს ხდებოდა მეფის რეჟიმის დროს. ასეთივე მდგომერეობა არსებობს ბელორუსიაში და საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებში. მაგრამ, როგორც ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, სულ სხვა მდგომარეობაა ეს ეროვნული ენაც ისტ ოროპეენ ჟურნალის“ 17-ტე ტომის პირველ წიგნში მოთავსებულია მეტად საინტერესო წერილი: „სოვიეტ ლანგვეჩ პოლისი—და ტეორი ენდ ფი პრაკტის“. ამ წერილის ავტორი იაკობ ორნშტეინი ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსეთის შემსწავლელი ცენტრის თანამშრომელია, რომელიც ზემო აღნიშნულ წერილის წინასიტყვაობაში ინიშნავს საზოგადოთ მრავალერიან სახელმწიფოში ლინგვისტური პოლიტიკის მნიშვნელობას და მერე უშუალოდ ეხება საბჭოთა კავშირს და ამტკიცებს, რომ იქ ლინგვისტური პოლიტიკა, უპირველეს ყოველისა ემსახურება რუსიფიკატორულ მიზნებს.

ავტორის აზრით, ორმოც წელზე მეტ ბოლშევიზმის ბატონობის ხანაში, მოსკოვის ცენტრალურმა პოლიტიკამ განვლო რამოდენიმე ეტაპი. გარემოებასთან შეფარდებით ის ხან მეტად მწვავე ფორმებში გამოისახა და ზოგ შემთხვევაში ლიბერალური თვისება გამოიჩინა. მაგ. მეორე მსოფლიო ომის კრიზისის დროს ეხედავთ, რომ მოსკოვმა დიდი „მოთმინება“ გამოიჩინა არა რუს ერთა ენების მიმართ. ომის შემდეგ დადგა რეაქციის ხანა და რუსიფიკაცია ძველებური (ომის წინა დროინდელი) ენერგიით ტარდება.

ყველა ერები ერთნაირად არ ღებულობენ მოსკოველი ბატონების დაწოლას. იმ ერთა შორის, რომლებიც რუსიფიკაციას ძლიერ წინააღმდეგობას უწევენ, აღსანიშნავია საქართველო და სასომხეთი, რომლებსაც აქვთ მაღალი ეროვნული თვითშეგნება და უაღრესად განვითარებული კულტურული ტრადიცია მათ შესაძლებლობას აძლევს რუსული ენის დაწოლას დიდი წინააღმდეგობა გაუწიონ.

შემდეგ ავტორი აყენებს საკითხს, თუ რა შეაძლებლობით სარგებლობს საბჭოთა რეჟიმი თავისი მიზნების განსახორციელებლათ და უპასუხებს:

უპირველეს ყოვლისა ისენი ცდილობენ **შეიტანონ და გაბატონონ რუსული სიტყვები** და აწყობენ ეს ხდება ტექნიკურ ლექსიკონებში რომლის ყველაზე ადვილი მსხვერპლია ის ერები, რომლის ენაც არ არის საკმარისად განვითარებული. რომ თანამიდროვე ინდუსტრიალურ ტექნიკურ გამოთქმებს შესატყვისი მოუ

ადამიანი ეროვნულ ენაზეა. ეს ენა ეროვნულ ენაზეა. ეს ენა ეროვნულ ენაზეა. ეს ენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობაა საქართველოში.

ავტორი საინტერესო ცნობებს იძლევა ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობის შესახებაც.

1956 წლის განმავლობაში 5932 წიგნიდან მხოლოდ 2872 ყოფილა მშობლიურ ენაზე გამოცემული უკრაინაში, ე. ი. ნახევარზე ნაკლები, ბელორუსიაში 742 დან 285, ე. ი. ერთი მესამედზე უფრო ნაკლები. საქართველოში და სასომხეთში კი 75 პროც. იბეჭდება მშობლიურ ენაზეო.

ავტორს დამახასიათებლათ ისიც მიაჩნია, თუ რა ენა იხმარება თეატრებში.

ბელორუსიის რვა თეატრიდან მხოლოდ სამში მიდის წარმოდგენები მშობლიურ ენაზე. **ყირგიზების და სხვა ავტონომიურ ოლქებში** ოთხი თეატრიდან მხოლოდ ერთში მიმდინარეობს მშობლიურ ენაზე. საქართველოში კი ოცი დიდი თეატრიდან 17-ში განსაკუთრებით ქართულად მიმდინარეობს წარმოდგენები

წერილის დასასრულში ავტორი აღნიშნავს, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელი არ არის, რომ მოსკოვის ცენტრალურმა მმართველობამ რაიმე ცვლილება შეიტანოს თავის ლენინისტურ პოლიტიკაში. დასაშვებია აქედან დროებითი გადახრა, ტაქტიკური მოსაზრებებით, მაგრამ არსებითად რაიმეს შეცვლას არ უნდა ველოდოთო.

ბატონი ი. ორნშტეინის წერილის კითხვის დროს რჩება შთაბეჭდილება, რომ როგორც თვითონ ის, ისე სხვა მეცნიერები, რომელთა შრომებსაც ის ეყრდნობა, საქართველოს სოვლიან საბჭოთა კავშირში შემავალ არა რუს ერთა შორის ყველაზე ძლიერ და მტკიცე ანტი რუსოფიკაციის ქვეყნად.

ხსენებული წერილის შინაარსი დიდათ საინტერესოა ყოველი ქართველისათვის, რადგან სულ სხვა მნიშვნელობა აქვს, როდესაც ქართველი ერის ამ თვისებებს ჩვენ თითონ აღ ვნიშნავთ და სულ სხვაგვარად ფასდება, როდესაც ჩვენი ერის მაღალ ეროვნულ შეგნებას სხვა, არა ქართველი და ისიც სპეციალისტი აღნიშნავს და ხაზს უსვამს მისი ენის მაღალ კულტურულობას.

დ. შალიკაშვილი.

ᲐᲮᲚᲝ ᲬᲐᲠᲬᲣᲚᲘᲓᲐᲜ.

(საქართველოს საკითხი ერთა ლიგაში.)

(დასასრული. იხ. „ქ. აზრი“-ს 34 ნომ.)

ბ). საერთო კრების ახალი დადგენილების მოლოდინში ამ ქვეყანას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ერთა ლიგის ტექნიკური ორგანოს საციების მუშაობაში.

საქართველოს შესახებ კომისიის დასკვნები ერთა ლიგის საერთო კრებამ განიხილა სხდომაზე დეკემბრის 16-ს 1920 წელს იმავე დღეს დილის სხდომაზე ლიგაში მიიღეს: ავსტრია, ბულგარეთი, კოსტა-რიკა, ფინეთი და ლიუქსემბურგი. ხოლო უარი ეთქვა სომხეთს. (რვა მომხრე 21 წინააღმდეგი)

„ინჭის ყრას წინ უძღოდა ცხარე კამათი: კოლუმბიის დელეგატი რესტრეპო ედავებოდა კომისიის დასკვნას: „ეს ქვეყნები (საქართველო და ბალტიის ქვეყნები) საკსებით აკმაყოფილენენ ახალი წევრის მისაღებად გათვალის წინებულ წესებს. ამას თვით კომისიაც სცნობს მაგრამ ის რაღაც პირობებს იმიზეზებს, რომელიც ხელს უშლის მათ მიღებას. ერთა ლიგის სტატუტიდ გათვალისწინებული არ არის, რომ „მდგომარეობის“ გამო წევრად მიღებაზე უარი ეთქვად. ამ ქვეყნების მიღებაზე უარის თქმა მაჩვენებელი იქნება ერთა ლიგის სისუსტის და სხვა.. პორტუგალიის წარმომადგენელი შაგასი მოითხოვდა ამ ქვეყნების მიღებას და ლიგის თვითეული წევრისათვის თავისუფლებას, რომ ეს ქვეყნები იურიდიულად ეცნოდ.

სპარსეთის დელეგატი ზოკა ედ-დულალ მხარს უჭერდა ამ ქვეყნების მიღებას და განსაკუთრებით იკავდა საქართველოს მიღების აუცილებლობას. პოლონეთმა (პადერევსკი) განაცხადა, რომ ის მომხრეა და, რასაკვირველია მათი სიმპატიები ამ ქვეყნებთან არის, მაგრამ პოლონეთმა იცის ვისი წყალობითაც არის ის დღეს დამოუკიდებელი. რადგან ამ ქვეყნებს ჯერ ნაადრევად მიაჩნიად საქართველოს მიღება, პოლონეთი იძულებულია თავი შეიკავოს.

პროფ. ინანუსკო (რუმინია) დაახლოვებით ასეთივე მოტივით თავს იკავებს.

რენე ვივიანი (საფრანგეთი). „ერთა ლიგის პაკტში არის ერთი მუხლი, რომელსაც 10-თე მუხლი ჰქვია. ეს მუხლი ჩვენ გვავალებს დახმარება აღმოუჩინოდ ლიგის იმ წევრს, რომელიც საფრთხეში აღმოჩნდება—თანახმად 10 მუხლის ფორმულისა მაშინვე, როგორც კი ამას გაიგებენ. და რადგან ჩვენ არ გვიყვარს ქვეყნების მოტყუება, რადგან ეს უკეუდესი პოლიტიკაა, რომ ხალხს შეგნებაში ყალბად შექმნა რწმენისა, რომ მას დაეხმარებიან, როცა იცი რომ არავინ არ დაეხმარება და ვფიქრობთ რომ ვერ შევძლებთ ეფოსის მეორე თვისება დახმარება მივაშველოთ. ამიტომ საფრანგეთი ხმას აძლევს კომისიის პროეკტს, რომ ეს ქვეყნები მიღებულ იქმნან ლიგის ტექნიკურ ორგანიზაციებში.“

რობერტ სესილის (სამხრეთ აფრიკა) და ნანსენის (ნორვეგია) წინადადებით საქართველოს საკითხი ჩამოშორებულ იქმნა ბალტიის ქვეყნებს და კენჭის საყრელად ცალკე დაისვა. ბალტიის ქვეყნებმა ვერ მიიღეს ხმების საჭირო რაოდენობა (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა—თითომ მიიღო ხუთ-ხუთი ხმა, ხოლო წინააღმდეგ ესტონეთმა-27, ლატვია-24, ლიტვა-24).

ამის შემდეგ სიტყვას იღებს ფრ. ნანსენი და მხურვალედ, თავგამოდებით იცავს საქართველოს („უმშვენიერეს პატარა ერს“) მიღების საჭიროებას. საქართველოს მიღებას, მისი აზრით, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო საქართველოსათვის, არამედ თვით ერთა ლიგისათვის. ძლიერი, დასაბუთებული, რწმენით ნაკარნახევი, თავგამოდებით იცავს საქართველოს ინგლისურ ენაზე) სიტყვა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ნანსენის შემდეგ სიტყვას ეხოლოებს ლორდი რობერტ სესილი, რომელიც ეზიარებს ნანსენის დასაბუთებას და სასურველად სთვლის საქართველოს ლიგაში მიღებას. ამ ორი ორატორის შემოეგდაუყონებლივ სიტყვას იღებს ფიშერი (პრატანეთი), რომელიც აცხადებს, რომ ფრ. ნანსენი და რ. სესილი სავსებით მართლები არიან ამ ქვეყნის შეფასებაში, მაგრამ სინდესეკ საგარეო თავდასხმიდან საქართველოს დაცვისა სინდ ილდ რჩება და რ. ვივიანის მოსაზრებები შეურყეველია:—მე სერიოზულად ვთხოვ ამ კრების დელეგატებს, რომლებმაც სერიოზული საკითხი უნდა გადასწყვეტონ. იფიქრონ; მართალია მზად არიან თუ არა თავ-თავიანთ მთავრობებს მოსთხოვონ, საჭირო მომენტში ამ პატარა რაინდი ქვეყნისათვის მატერიალური დახმარების მიწოდება“. მისი აზრით საქართველო საფრთხეში იყო და მისი ლიგაში მიღების საკითხი დაკავშრებული იყო მისი დაცვის შესაძლებლობის საკითხთან.

დაიწყო ხმის მიცემა. დარბაზში სრული სიჩუმეა. ხალხით გაჭედილი ტრიბუნიდან სულგანაბული უთვალთვალებენ. ხმის მიცემაში მონაწილეობა 24 სახელმწიფოს წარმომადგენელმა მიიღო. ლიგის სტატუტით ახალმა კანდიდატმა უნდა მიიღოს ხმების ორი მესამედი. საქართველოს სჭირდება ამ შემადგენლობაში 16-ტი ხმა.

საქართველოს მომხრეაღმოჩნდა 10 ხმა. წინააღმდეგი 13. ეს ხმები შემდეგნაირად იყო და ნაწილებული: მიღების მომხრე ქვეყნები; სამხრეთ აფრიკა, 2).ბოლივია, 3). კოლუმბია, 4). იტალია, 5). ნორვეგია, 6). პარაგვაი, 7). სპარსეთი, 8). პორტუგალია, 9). შვეიცარია და 10). ჩილი.

წინააღმდეგი: 1). დიდბრიტანეთი, 2). საფრანგეთი. 3). ავსტრალია, 4). კანადა, 5). კუბა, 6). ეესპანეთი, 7). დანია, 8). საბერძნეთი, 9). ინდოეთი, 10). ახალი ზელანდია, 11). ჰოლანდია, 12). იუგოსლავია, 13). ჩეხო-სლოვაკია. თავი შეიკავეს: 1). ბელგია, 2). პოლონეთი, 3). შვეიცია და 4). რუმინიამ. დანარჩენი 18 სახელმწიფო კრებას არ დასწრებია.

ასე გადაწყდა საქართველოს ერთა ლიგაში მიღების საკითხი. ეკრთაბამ ოცნო საქართველო სასურველ თანამშრომლად, ერთა ლიგის სასურველ წევრად, მაგრამ ერთა ლიგის წინაშე დადგა თავდასხმიდან მისი ტერიტორიის დაცვის საკითხი და ამის პასუხისმგებლობა ლიგამ ვერ აიღო. ამით,რასაკვირველია ერთა ლიგამ გამოამჟღავნა თავისი უძლურება, მაგრამ ამავე დროს გამოიჩკვა რუსეთის დამღუპველი გავლენა საქართველოს ეროვნული განვითარებისათვის. რუსეთი კიდევ ერთხელ წინ გადაეღობა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას, ინგლისი და საფრანგეთი მშვენივრად იცნობდნენ რუსეთის მუხანათური პოლიტიკის მიზნებს. მათთვის ცხადი იყო, რომ რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობას არ შეურიგდებოდა და ხელსაყრელ მომენტში თავს დაეხმებოდა. ლიგის პაკტის თანახმად (10 მუხლის ძალით) ლიგის წვრი თავდასხმისაგან უნდა დაეცვად და მისი სახელმწიფოებრივ ტერიტორიალური ხელუხლებლობა უზრუნველეყოდ. რადგან საქართველოს ფავეს ნიშნავდა რუსეთთან ომს და ახალი ომის დაწყება ინგლისსა და საფრანგეთს არა სურდათ. ამიტომ საქართველოს უარი უთხრეს და ერთა ლიგაში არ მიიღეს.

ᲩᲔᲛᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲡᲘᲡᲮᲚᲐᲠ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘ.

(1500 წლის თავზე)

დედაო მიწის ქალაქო დედა,
ათას ხუთასჯერ იბრუნე წელი,
ვიღაც საწყალი სიტყვას გიბედავ,
მსურს, რომ სიცოცხლით იყვე დღე გრძელი
უცხო ზეცის ქვეშ ჩვენ ვიყინენით,
ნინოს სატახტო თბილისო-თბილო,
ლექსებს დავკაწრავ გულის ფრჩხილებით
გრძნობებს სიმართლე, რომ ვთქმენინო.
შენ ნაკურთხი ხარ წმინდანის ჯვრიდან,
ჯვარმა საყდარში ლოცვით იხარა,
უცხო ქვეყნიდან გულ-დაგლეჯილმა,
მსურს შემოგძახო ომეზიანად:
ჰაუ თბილისო ციხე-ქალაქო,
წლეები გიქსოვს ცეცხლიან ამბებს,
რომ გორდა ხმლებმა გაინავარდოს,
სად გაყავს ერეკლე ან საკაძე.
შემოგიხურავს ეს საუკუნე,
თეთრი ჩოჩხეზიით გადმოტეხილი,
ჩრდილოს ჩრდილები ისე გაწუხებს,
როგორც სულთანის ძმიმე მახვილი
თავზე დაგაყურებს მოხუცი მცხეთა,
და ვაზის ჯვარი, მაგრამ დარეული,
სარკოფაგი ხარ ქართველ მეფეთა,
ბრძოლის ქარ-ცეცხლით შემოქარგული.
გორგასლანიდან თამარ დედოფალს
დედოდა ალბად შენი სახელი
პატარა კახმა, რომ შეინახა
მიწა ქართველთა სისხლით ნადენი.
დღესაც ულიმის გზებს განასწავლებს
ილიას სისხლი, აკაკის ცრემლი

გეძახის ქალაქს ახლად ნაწამებს
პავლო-ტიციან და აბაშელი.

გულში ჩაგიკლეს „ბედი ქართლისა“,
დუდულებს მტკვარი ნერვებ აშლილი,
გაფრენილ მერანს, ღრუბლებში სძინავს,
სტირის, რომ არ ჰყავს ბარათაშვილი.
ზრდი პოეტების მებრძოლთა ლაშქარს,
ხარ ქართველოს სიტყვა კაზმული,
შოთას სამშობლოვ დიდება, ვაშა,
დარჩები მუდამ წელ გამართული.
ჩვენ კი.... თბილისო, შენი შვილები,
შენი იმედით, შენი უფლებით,
წლეებს მოგიქსოვთ მანდ სამაისოს
და მზის სიცილში დავიღუბებით.
თბილისის ღამე ხშირად ჩვენია
პოეზიაში წელთა მუქარა,
ძვლები წაიღეს, მაგრამ გული კი...
გული ვერავინ გამოგითხარა.

გიორგი ყიფიანი.

პარიზი, 1959 წ.

ᲡᲢᲔᲤᲐᲜ ᲑᲐᲜᲓᲔᲠᲐ.

ა. წ. საკტემბრის 15-ს მოულოდნელად გარდაიცვალა უკრაინელ განმანთავისუფლებელი მოძრაობის მეთაური და უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციის თავმჯდომარე სტეფან ბანდერა. ანალიზმმა აჩვენა, რომ მოწამლა ული იყო. ეჭვი არავის ეპარება, რომ მოწამლა ბოლშევიკების აგენტმა, მაგრამ ამ საიდუმლოებას პოლიცია ჯერ თავისთვის ინახავს.

განსვენებული ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჩაება ეროვნულ ბრძოლაში და როგორ ინ დასა ვლეთ უკრაინაში იყო, ეს ბრძო�მა მეთაურული იყო პოლონელების წინააღმდეგ, რომელნიც სასტიკად აღშობდნენ უკრაინელთა ეროვნულ უფლებებს გალიციაში. 1934 წელს მას პოლონეთის სასამართლომ სიკვდილით ა სჯელი გადაუწყვიტა. რომელიც შეუცვალეს მუდმივი კატორღით. აქ მოუსწრო უკანასკნელმა მეორე მსოფლიო ომმა და 1941 წ. დაიწია ციხეს თავი. ამ დროს ძალ რევოლუციონერი წესით გამოაცხადეს უკრაინის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და შედგინეს ეროვნული მთავრობა მაგრამ მალე შესა მე რაიხის მესვეურებმა ისინი ყველანი დაატყვესეს და საკონცენტრაციო ბანაკში შეაყარეს. განსვენებულმა მთელი ომი აქ დაჰყო და გერმანიის დამარცხების შემდეგ ის ჩაუდგა სათავეში აჯანყებულთა ჯგარს, რომელიც პარტიზანულ ბრძოლას აწარმობდა. შემდეგ გამოიცდა უცხოეთში და თავი მოუყარა ყველა ეროვნულად განწყობილ ძალებს ერთ ძლიერ ორგანიზაციაში. უკვე ომის დროს მისმა ნდობის ხალხმა გაადა კავშირი რუსეთის მიერ დაპყრო ყველა ერების ორგანიზაციებთან, რაც საფუძველად დაედო ერების ანტიბოლშევიკური ბლოკს „ა. ბ. ხ.“-ს, რომელიც შემდეგ გადაიქცა ძლიერ ინტერნაციონალურ ორგანიზაციად. ეს ანტიკომუნისტური ძლიერი და მომქმედი ორგანიზაცია უმთავრესად უკრაინელი ფინანსიური დახმარებით არსებობს. ის განსაკუთრებული მეგობარი იყო საქართველოსი და დიდი ინტერესით ეცნობოდა მის ისტორიას და კულტურას. მას პირადი ურთიერთობა ქონდა ჩვენ ქართველ მეგობრებთან და თანამემამულეებთან. მას გაშმაგებით ებრძოდნენ ბოლშევიკები და საბჭოთა პრესაში ხშირად ხსენებენენ „ბანდერას ბანდებს“.

ჩვენი გულწრფელი სამძიმარი და თანაგრძნობა უკრაინელ მეგობრებს და თანამებრძოლთ..

ნ. ქ—ძე

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲗᲕᲘᲡᲢᲝᲛᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ნოემბრის 29-ს შესდგა ქართული სათვისტომოს წლიური საზოგადო კრება.

კრებას თავმჯდომარეად ერთხმად იქმნა არჩეული დამსახურებული ეროვნულ-პოლიტიკური მოღვაწე პროფესორი გიორგი ნაკაშიძე. დღვნად ინ. ი. შენთეშვილი.

ბ-ნმა გ. ნაკაშიძემ მეჭურმეტყველობის სანიმუშო მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ტრიბუნაზე მიიწვია სათვისტომოს თავმჯდომარე დოკ. ოთარ ხალდასტანიშვილი.

ბ-ნ ხალდასტანიშვილის მოხსენებას ახასიათებდა საზოგადოებრივი საქმიანობის მაღალი ინტერესი და მისი პრაკტიკული შესაძლებლობების გამონახვის ღრმა შესწავლა. აქედან გამომდინარე ის აყენებს სათვისტომოს რეორგანიზაციის საკითხს. საზოგადოება უმალ დარწმუნდა, რომ ბ-ნ ზალდასტანიშვილს საზოგადოების საქმიანობა იმ გზით წარუმართავს და მი სი სარეორგანიზაციო საკითხები სწორად ის აუცილებელი პირობაა, რომელმაც ქართული სათვისტომო შეერთებული შტატების ოფიციალურ უწყებებში ლეგალურ ორგანიზაციად უნდა აქციოს, რომელსაც ამერიკელი კანონები იცავენ, ფფარველობენ და საქმიანობაში ხელსუწყობენ. ამიტომ საზოგადოებამ ერთხმად დაამტკიცა ის ბიერ წარმოდგენილი ცვლილებები და დამატებები და თავიანი ქმაყოფილება და უღრმესი მადლობა იმით გამოსცა ქვა, რომ თავმჯდომარე და მისი თანამშრომლები ხელახლა უკლებლივ იქმნენ არჩეულნი

განვლილ კრებაზე მოსმენილმა მოხსენებებმა ნათელყვეს, რომ სათვისტომო მაღალი პასუხისმგებლობის შეგნების მქონე და მოქმედების უნარმოსილი ჭირისუფალის ხელშია და ის ღა დაგვრჩენია ვისუურვოდ, რომ სათვისტომოს ყოველ წელს ეს შეეგნოს და შეემტკნოს.

ქართული კერის სააღმშენებლო კომისიის თავმჯდომარე ინ. გ. დონაურმა გააცნო რა კერების სააღმშენებელო ფონდის მდგომარეობა, მხურვალედ მოუწოდა საზოგადოებას მიტ(ა)ყურადღებით მოეკრძნენ ამ საქმეს, რომელიც მომავალში გადაიქცევა ქართული კულტურის და ქართული ენერგიის გაერთიანების ცენტრად.

ელი ციების დასაძლევად, ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების შენობის ასაგებად შეწირულება, რომელიც ხელს უწყობს და ანვითარებს მსოფლიოს ურთიერთ გაგებას და და მეგობრებას, განათლების და მოსწავლეთა მრავალმხრივმა დახმარებამ, როკფელერებს მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი. აქ ჩამოთვლილი მხოლოდ მცირე მაგალითებია ამ ფილანტროპიული მოქმედების, რომელსაც მამა და მისი ხუთი შვილი აწარმოებდა და აწარმოებს სხვა და სხვა „ფონდეი“შენების“ მეოხებით.

ნუ თუ კაპიტალიზმის ამ გვარ განვითარების პროცესში შეიძლება მუშათა კლასის ეექსპლოატაციაზე ლაპარაკი? ნუ თუ კვლავ შეიძლება ითქვას, რომ მდიდარი უფრო მდიდრდება და ღარიბი უფრო ღარიბდება? აქ უნებურად თვალ წინ გვიდგება დარეული „ბუნებრივი შერჩევის“ თეორია, რომელიც გვიდ იქრებინებს, რომ ბუნების კანონი კაპიტალიზმს ჰქმნის იმ სისტემად, რომელიც სიმდიდრის უნარს აძლევს მხოლოდ იმ გვარ ადამიანებს, რომლის მისწრაფებაა დაიხმაროს. ბაზარდოს და განამტკიცოს საზოგადოების კეთილ მოწყობა. ასევე ეს სისტემა ჰქმნის რეფორმერის მსგავს პიროვნებებს, რომელთა მისწრაფებაა არა საკუთარი ფინანსიური მდგომარეობის გაზრდა, არამედ საზოგადოების განვითარება და მისი ცხოვრების გაუმჯობესება.

კაპიტალიზმის ამგვარი ეეოლუცია მოხდა თავისუფლების ამ ფარგლებში, რომელიც ჯონ სტუარტ მილმა დაახასიათა, როგორც „ჩვენი საკუთარი მიზნის მიყოლა.საკუთარი გზით, ვიდრე არ შეეფერხებთ სხვისა ცდას ამავე მიმართულებით მიმართულს“

გ. ზალდასტანიშვილი.